EAST EUROPEAN UNIVERSITY

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის

დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. მოქმედების სფერო და მიზანი

1. წინამდებარე აქტი ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა ნორმატიული-სამართლებრივი აქტების შესაბამისად განსაზღვრავს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში (შემდგომ - „უნივერსიტეტი“) დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის აუცილებელ მინიმალურ სტანდარტს.
2. დოქტორანტურის მიზანია დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საფუძველზე მაღალი კვალიფიკაციის სამეცნიერო ცოდნითა და პედაგოგიური უნარებით აღჭურვილი კადრების მომზადება, აკადემიური და კვლევითი რესურსების დაახლოება, ქვეყანაში სამეცნიერო და ინოვაციური მუშაობის გააქტიურება და ხარისხის ამაღლება, დოქტორანტის საერთაშორისო აკადემიურ და სამეცნიერო სივრცეში ჩართვა, ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების ჩამოყალიბება, ახალი ცოდნის შექმნისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა, განხორციელებული კვლევითი პროექტების შესაბამისობის უზრუნველყოფა უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

წინამდებარე სტანდარტის მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა. დოქტორანტურა – აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხური;
ბ. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა – აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც არის სასწავლო კომპონენტისა და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის ერთობლიობა და რომლის სწავლის შედეგებიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-8 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს;
გ. დოქტორანტი – პირი, რომელიც სწავლობს დოქტორანტურაში;
დ. დოქტორი – მფლობელი იმ აკადემიური ხარისხისა, რომელიც პირს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების შესრულებისა და დისერტაციის დაცვის შედეგად ენიჭება.

თავი II. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები

მუხლი 3. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

1. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და რომელიც წარმატებით ჩააბარებს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდას.
2. კონკრეტულ სადოქტორო პროგრამებზე წარმატებული სწავლისა და კვლევისთვის პროგრამაზე დაშვების წინაპირობად შეიძლება განისაზღვროს წინარე განათლება და/ან შესაბამის სფეროში სამუშაო გამოცდილება.
3. დოქტორანტობის კანდიდატს, რომელსაც ქართულენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სურს სწავლის გაგრძელება მოეთხოვება ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონის ცოდნა, რაც შეიძლება დადასტურდეს ინგლისური ენის ცოდნის არანაკლებ B2 დონის ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატით ან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული

ცენტრის მიერ გაცემული შესაბამისი ვალიდური სერტიფიკატით CERTUS) ან ბოლო 2 წლის განმავლობაში ინგლისურენოვანი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის (საბაკალავრო, სამაგისტრო და სხვა) დასრულების დამადასტურებელი დიპლომით ან ინგლისური ენის B2 დონის ცოდნის განმსაზღვრელი შიდასაუნივერსიტეტო ტესტირებით.

4. დოქტორანტობის კანდიდატს, რომელსაც ინგლისურენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სურს სწავლის გაგრძელება მოეთხოვება ინგლისური ენის არანაკლებ C1 დონის ცოდნა, რაც შეიძლება დადასტურდეს ინგლისური ენის ცოდნის არანაკლებ C1 დონის ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატით ან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული შესაბამისი ვალიდური სერტიფიკატით (CERTUS) ან ბოლო 2 წლის განმავლობაში ინგლისურენოვანი კადემიური საგანმანათლებლო პროგრამის (საბაკალავრო, სამაგისტრო და სხვა) დასრულების დამადასტურებელი დიპლომით ან ინგლისური ენის C1 დონის ცოდნის განმსაზღვრელი შიდასაუნივერსიტეტო ტესტირებით.
5. დოქტორანტობის კანდიდატს, რომელსაც ქართულენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სურს სწავლის გაგრძელება და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, ასევე მოეთხოვება ქართული ენის არანაკლებ B2 დონის ცოდნა, რაც შეიძლება დადასტურდეს ქართული ენის არანაკლებ B2 დონის ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატით ან ბოლო 2 წლის განმავლობაში ქართულენოვანი კადემიური საგანმანათლებლო პროგრამის (საბაკალავრო, სამაგისტრო და სხვა) დასრულების დამადასტურებელი დიპლომით ან ქართული ენის B2 დონის ცოდნის განმსაზღვრელი შიდასაუნივერსიტეტო ტესტირებით.
6. კანდიდატი, რომელიც შიდასაუნივერსიტეტო ტესტირების შედეგებით ვერ გადალახავს ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელი ტესტის მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, კარგავს კონკურსში მონაწილეობის გაგრძელების უფლებას. შიდასაუნივერსიტეტო ტესტირების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი უნდა იყოს წინასწარ დამტკიცებული, საჯარო და ხელმისაწვდომი.
7. უნივერსიტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე პირი შეიძლება ჩაირიცხოს მობილობის წესით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი დოქტორანტი უნდა აკმაყოფილებდეს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობებს.
8. უნივერსიტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს ასევე უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
9. დოქტორანტურაში მიღებას, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე, აცხადებს უნივერსიტეტის რექტორი. მიღება შეიძლება გამოცხადდეს როგორც შემოდგომის, ისე გაზაფხულის სემესტრისათვის.
10. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განისაზღვრება შესაბამისი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით. პროგრამაზე დაშვების წინაპირობების უნდა იყოს საჯარო და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისათვის.

მუხლი 4. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა

1. დოქტორანტობის კანდიდატი, რომელიც აკმაყოფილებს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობებს, სადოქტორო პროგრამაზე სწავლის უფლების მოსაპოვებლად აბარებს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდას, რომელიც მოიცავს დარგობრივი კომისიის მიერ აპლიკანტის სადოქტორო კვლევითი განაცხადის გადარჩევის ეტაპს და ზეპირ გამოცდას (ინტერვიუს).
2. პროგრამაზე მიღებისათვის კანდიდატის ერთიანი სარეიტინგო ქულა განისაზღვრება სააპლიკაციო პაკეტის და ზეპირი გამოცდის კომპონენტებში მიღებული სარეიტინგო ქულების ჯამით.

3. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები უნდა იყოს წინასწარ დამტკიცებული, საჯარო და ხელმისაწვდომი.
4. დოქტორანტობის კანდიდატი, რომელიც წარმატებით ჩააბარებს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდას მოიპოვებს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლებას.
5. წინამდებარე სტანდარტითა და საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში დოქტორანტობის კანდიდატთან იდება ხელშეკრულება.
6. დოქტორანტობის კანდიდატთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე გამოიცემა რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მისი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის თაობაზე.

მუხლი 5. აპლიკანტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტები

1. დოქტორანტობის კანდიდატმა ფაკულტეტის მიმღებ კომისიას უნდა წარუდგენოს განცხადება უნივერსიტეტის რექტორის სახელზე, სასურველი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მითითებით (დანართი №1). განცხადებას თან უნდა დაერთოს:
   ა. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან პასპორტის ორიგინალი და მისი სათანადო წესით დამოწმებული ასლი. უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში - ქართულად თარგმნილი და ნოტარიულად დამოწმებული პასპორტის ასლი;
   ბ. მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ოტარიულად დამოწმებული ასლი ან ცნობა მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე;
   გ. ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული შესაბამისი ვალიდური სერტიფიკატის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან ბოლო 2 წლის განმავლობაში ინგლისურენოვანი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის (საბაკალავრო, სამაგისტრო და სხვა) დასრულების დამადასტურებელი დიპლომის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
   დ. ავტობიოგრაფია (CV), რომელიც ასახავს მონაცემებს აპლიკანტის განათლებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ;
   ე. სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (მხოლოდ ვაჟებისთვის);
   ვ. ორი ფოტოსურათი 3X4 და მისი ელექტრონული ვერსია CD-ზე;
   ზ. შესაბამის სფეროში სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი ცნობა (სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებულ შემთხვევაში);
   თ. სადოქტორო კვლევითი განაცხადი და მოტივაცია.
2. უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი დიპლომი, მათ შორის ბოლო 2 წლის განმავლობაში საქართველოს ფარგლებს გარეთ ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი, აღიარებული უნდა იყოს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.
3. არანაკლებ ხუთწლიანი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად გაცემული დიპლომი გათანაბრებული უნდა იყოს მაგისტრის ხარისხთან სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული ცნობით.
4. იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტობის კანდიდატის ნაცვლად საბუთებს წარმოადგენს ან/და ხელშეკრულების აფორმებს მინდობილი პირი, მან თან უნდა იქონიოს სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა.
5.

თავი III. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

მუხლი 6. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა

1. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი (ექვსი სასწავლო სემესტრი) და მისი სასწავლო კომპონენტი უნდა მოიცავდეს არაუმეტეს 60 კრედიტს.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტს შესაძლებელია მიეცეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის/კვლევის გაგრძელების შესაძლებლობა.
3. საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის/კვლევის გაგრძელების შესახებ ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებას იღებს სამეცნიერო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის შუამდგომლობის საფუძველზე, რომელშიც დასაბუთებული უნდა იყოს დოქტორანტის მიერ სწავლის/კვლევის გაგრძელების მიზანშეწონილობა.
4. დოქტორანტის მიერ სწავლის/კვლევის გაგრძელების შესახებ სამეცნიერო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის შუამდგომლობის წარდგენისა და ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების მიღების წესი რეგულირდება შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით.

მუხლი 7. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები

1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა არის სასწავლო კომპონენტისა და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის ერთობლიობა.
2. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კომპონენტი შეიძლება წარმოდგენილი იყოს სადოქტორო სემინარის, სასწავლო კურსის, პრაქტიკის, პრაქტიკული სახის პროექტის ან სხვა კომპონენტის სახით.
3. სასწავლო კომპონენტი განისაზღვრება შესაბამისი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამითა და ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით.
4. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარმოდგენილი უნდა იყოს სადისერტაციო ნაშრომის, სხვა სამეცნიერო პროექტის ან აქტივობის სახით.
5. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს, თანახელმძღვანელს (არსებობის შემთხვევაში) და სადისერტაციო თემის სათაურს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო, დოქტორანტის შესაბამის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვიდან 60 კალენდარული დღის განმავლობაში.
6. სადისერტაციო თემის შეცვლის ან სადისერტაციო თემის სათაურში ცვლილების შეტანის საკითხს განიხილავს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო.
7. სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით კომპონენტებში დოქტორანტის შეფასებასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება როგორც შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით, ასევე შესაბამისი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით.

მუხლი 8. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი

1. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე უახლესი ცოდნით აღჭურვილი პირი, რომელსაც აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში და დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი თემატიკისა და მიმართულების

სფეროში გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები. ინფორმაცია სამეცნიერო ხელმძღვანელის კვლევითი ინტერესებისა და პუბლიკაციების შესახებ არის საჯარო.

2. დოქტორანტის სამეცნიერო თანახელმძღვანელი (არსებობის შემთხვევაში) შეიძლება იყოს უახლესი ცოდნით აღჭურვილი პირი, რომელსაც აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში ან დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი თემატიკისა და მიმართულების სფეროში გააჩნია შესაბამისი პროფესიული გამოცდილება.
3. სამეცნიერო ხელმძღვანელმა შეიძლება უხელმძღვანელოს აქტიური სტატუსის მქონე არაუმეტეს 7 დოქტორანტს.
4. სამეცნიერო ხელმძღვანელი ვალდებულია რეგულარული კონსულტაციები გაუწიოს დოქტორანტს. კონსულტაციების რაოდენობა განისაზღვრება შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით, საგანმანათლებლო პროგრამისა და საკვლევი თემის სპეციფიკის გათვალისწინებით.
5. სამეცნიერო ხელმძღვანელის კონსულტაციები უნდა მოიცავდეს მათ შორის ისეთ საკითხებს, როგორიცაა კვლევის დიზაინი და პროექტის მენეჯმენტი, კვლევის მეთოდოლოგია, პროფესიული განვითარება, თეზისის, სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის ან დისერტაციის წერის პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირების პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესი, სამეცნიერო სტატიების რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნების პროცესი, სამეცნიერო საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის პროცესი და სხვა.
6. სამეცნიერო ხელმძღვანელი ვალდებულია კონტროლი გაუწიოს დოქტორანტის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულებას და პერიოდულად განახორციელოს დოქტორანტის პროგრესის განმავითარებელი შეფასება.
7. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტს შეიძლება ჰყავდეს თანახელმძღვანელი. თანახელმძღვანელი, სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებით, მხარდაჭერას უწევს დოქტორანტს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების პროცესში.
8. სამეცნიერო ხელმძღვანელი ხელმძღვანელობაზე უარის თქმის შემთხვევაში სწავლის ნებისმიერ ეტაპზე დასაბუთებულ განცხადებას წარუდგენს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს.
9. სამეცნიერო ხელმძღვანელის, ასევე თანახელმძღვანელის (არსებობის შემთხვევაში) დანიშვნისა და შეცვლის საკითხები, მათი უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით.

მუხლი 9. დაცვის პროცესზე დოქტორანტის დაშვების წინაპირობები

1. შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება უნდა ითვალისწინებდეს დოქტორანტის დაცვის პროცესზე დაშვების წინაპირობებს, მათ შორის, დოქტორანტის პროგრესიის პერიოდულ განმავითარებელ შეფასებებს.
2. დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის წარდგენამდე მოეთხოვება სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგების ამსახველი, მინიმუმ, ორი სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნება.
3. დოქტორანტმა სამეცნიერო პუბლიკაციები უნდა გამოაქვეყნოს რეფერირებად (Peer-reviewed) საერთაშორისო ჟურნალებში (ან საკონფერენციო მასალებში), რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო (ან სამეცნიერო კომიტეტი) და რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო თანამშრომლობისთვის. ამასთან, ამ ორი პუბლიკაციიდან ერთი მაინც უნდა იყოს გამოქვეყნებული ისეთ საერთაშორისო ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის, Web of Science-ის ან ERIH PLUS-ის ბაზებში.

თავი III. სადისერტაციო ნაშრომის წარდგენა

მუხლი 10. სადისერტაციო ნაშრომისადმი წაყენებული მოთხოვნები

1. სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს სამეცნიერო-კვლევით ნაშრომს, რომელსაც დოქტორანტი იცავს დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.
2. სადისერტაციო ნაშრომი უნდა ასახავდეს კვლევის დასაბუთებულ შედეგებს და ქმნიდეს ახალ ცოდნას.
3. ქართულენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სადისერტაციო ნაშრომი უნდა შესრულდეს ქართულ ენაზე, ხოლო სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსია - ქართულ და ინგლისურ ენებზე.
4. ქართულენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ინგლისურ ენაზე სადისერტაციო ნაშრომი შესრულების საკითხს წყვეტს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო. ნაშრომის ინგლისურ ენაზე შესრულების შემთხვევაში სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე.
5. ინგლისურენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დისერტაცია და სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსია უნდა შესრულდეს ინგლისურ ენაზე.
6. სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსია უნდა ასახავდეს დისერტაციის ყველა კომპონენტს. სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსიის მოცულობა განისაზღვრება ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით, ასევე ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ დამტკიცებული შესაბამისი ინსტრუქციით.
7. სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური მონაცემების შესახებ ინსტრუქციას შეიმუშავებს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, რომელსაც ამტკიცებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო.

მუხლი 11. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის გამოვლენის მექანიზმი

1. აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის პრევენციის მიზნით, დოქტორანტის მიერ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შექმნილი სადისერტაციო ნაშრომი ექვემდებარება სავალდებულო შემოწმებას მსგავსების აღმომჩენი ელექტრონული პროგრამით.
2. დოქტორანტი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში სადისერტაციო ნაშრომის წარდგენამდე, ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას წარუდგენს ფაკულტეტის ადმინისტრაციას, მსგავსების აღმომჩენ ელექტრონულ პროგრამაზე გადამოწმების მიზნით.
3. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს დოქტორანტს, შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაციაში სადისერტაციო ნაშრომის წარდგენამდე, უშუალოდ გადაამოწმოს ნაშრომი უნივერსიტეტში არსებული მსგავსების აღმომჩენი ელექტრონული პროგრამით. ამასთან, დოქტორანტის მიერ ფაკულტეტის ადმინისტრაციაში წარდგენილ სადისერტაციო ნაშრომში შემდგომში ცვლილებების განხორციელება დაუშვებელია.
4. ფაკულტეტზე წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას თან უნდა ახლდეს დოქტორანტის განაცხადი იმის თაობაზე, რომ წარდგენილი ნაშრომი მისი დამოუკიდებელი კვლევის შედეგია, არ შეიცავს აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ელემენტებს (პლაგიატს, გაყალბებულ მონაცემებს), ორიგინალურია, სხვა ავტორთა მოსაზრებები მითითებულია დადგენილი წესით და კვლევის მეთოდების გამოყენებისას დაცულია აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმები (დანართი№2).

5. ფაკულტეტი ვალდებულია სადისერტაციო ნაშრომის ელექტრონული ვერსია, წარდგენიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში, შეამოწმოს მსგავსების აღმომჩენი ელექტრონული პროგრამით და შემოწმების შედეგები სადისერტაციო ნაშრომის ელექტრონული ვერსიასთან ერთად გადასცეს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს.
6. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი აფასებს სადისერტაციო ნაშრომს და ნაშრომის მიღებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში გასცემს წერილობით დასკვნას. დასკვნაში დადასტურებული უნდა იყოს სადისერტაციო ნაშრომის მნიშვნელობა და აქტუალობა, კვლევის სიახლე და ინოვაციურობა, კვლევის შედეგების სამეცნიერო ღირებულება და/ან კვლევის შედეგების პოტენციური პრაქტიკული გამოყენებადობა. დასკვნა ასევე უნდა შეიცავდეს ინფორმაციას მსგავსების აღმომჩენ ელექტრონულ პროგრამაზე ნაშრომის გადამოწმების შედეგების შესახებ, კერძოდ, ნაშრომში პლაგიატის ან გაყალბებული მონაცემების არარსებობის თაობაზე.
7. წარდგენილ სადისერტაციო ნაშრომში აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი დასაბუთებულ წერილობით დასკვნას წარუდგენს ფაკულტეტის ადმინისტრაციას და დოქტორანტს.
8. საჭიროების შემთხვევაში, ფაკულტეტის დეკანი, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის წერილობითი დასკვნის საფუძველზე, განსაზღვრავს აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის დამდგენი კომისიის შემადგენლობას და დოქტორანტის აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხის განხილვის თარიღს.
9. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფორმებზე რეაგირების წესი, დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები, ასევე დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები განსაზღვრულია შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსით“.

მუხლი 12. სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის პროცედურა

1. სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ სადისერტაციო ნაშრომის შეფასების შემდეგ დოქტორანტი შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს სადისერტაციო ნაშრომის 5 აკინძულ ბეჭდურ ეგზემპლარს და მის ელექტრონულ ვერსიას (PDF ფორმატში).
2. სადისერტაციო ნაშრომთან ერთად დოქტორანტმა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს უნდა წარუდგინოს:

   ა. განცხადება სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სახელზე დისერტაციის განსახილველად მიღების შესახებ (დანართი №3);

   ბ. დოქტორანტის მიერ შესრულებული სამუშაოს შემაჯამებელი ანგარიში (დანართი№4);

   გ. დისერტაციის კვლევის შედეგები - დისერტაციის ძირითადი დებულებების ამსახველი მოკლე ვერსია - ქართულ და ინგლისურ ენაზე;

   დ. სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა (დანართი№5);

   ე. ფაკულტეტის მიერ გაცემული ცნობა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით განსაზღვრული სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნებისათვის წაყენებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე;

   ვ. ფაკულტეტის მიერ გაცემული ცნობა სასწავლო კომპონენტის შესრულების, დაგროვილი კრედიტებისა და სემესტრების სრულად გავლის თაობაზე;

   ზ. გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ამონაბეჭდი და/ან რედაქტორის (რედკოლეგიის) მიერ გაცემული ცნობა გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო ნაშრომის შესახებ და ნაშრომის ბეჭდური ვერსია.
3. წარმოდგენილ დოკუმენტებს 5 კალენდარული დღის განმავლობაში ამოწმებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანი და, თუ ისინი წესრიგშია, წარუდგენს ფაკულტეტის სადისერტაციო

საბჭოს თავმჯდომარეს, რომელიც 10 კალენდარული დღის ვადაში მსვლელობას აძლევს საქმის წარმოებას.

4. დოქტორანტი თავისუფლდება სემესტრული რეგისტრაციისგან ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის მომენტიდან. ამასთან, სადისერტაციო ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას.
5. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით შეიძლება განისაზღვროს დისერტაციის წარდგენასთან დაკავშირებული დამატებითი მოთხოვნები.

მუხლი 13. სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები

1. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო, სადისერტაციო ნაშრომის რეცენზირების მიზნით, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის შუამდგომლობისა და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე, გამოყოფს არანაკლებ ორ რეცენზენტს.
2. ორი რეცენზენტიდან მინიმუმ ერთი რეცენზენტი უნდა იყოს საქართველოდან ან/და უცხოეთიდან, რომელსაც უნივერსიტეტში არ უკავია აკადემიური თანამდებობა.
3. რეცენზენტს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ხარისხი, დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო დარგში, სპეციალობაში ან მიმართულებაში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები.
4. რეცენზენტი ვალდებულია სადისერტაციო ნაშრომი შეაფასოს წინამდებარე სტანდარტით დადგენილი კრიტერიუმებით და გასცეს შემაჯამებელი შეფასება სადისერტაციო ნაშრომის სადისერტაციო კომისიისათვის გადაცემის (დადებითი შეფასება) ან რეკომენდაციების გათვალისწინებისა და ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით სადისერტაციო ნაშრომის დოქტორანტისთვის დაბრუნების შესახებ (უარყოფითი შეფასება).
5. რეცენზენტმა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს რეცენზია უნდა წარუდგინოს სადისერტაციო ნაშრომის მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში (დანართი №6).
6. ორივე რეცენზენტის მიერ სადისერტაციო ნაშრომის დადებითად შეფასების შემთხვევაში, სადისერტაციო ნაშრომი გადაეცემა სადისერტაციო კომისიას.
7. ერთ-ერთი რეცენზენტის მიერ სადისერტაციო ნაშრომის უარყოფითად შეფასების შემთხვევაში ინიშნება ახალი რეცენზენტი.
8. ორივე რეცენზენტის მიერ სადისერტაციო ნაშრომის უარყოფითად შეფასების შემთხვევაში, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტი დაცვის პროცედურაზე არ დაიშვება და მას მიეცემა რეკომენდაციების გათვალისწინებისა და ხარვეზების აღმოფხვრის უფლება ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ განსაზღვრული სემესტრების განმავლობაში, მაგრამ არა უმეტეს 2 სასწავლო სემესტრისა.

თავი IV. სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის პროცედურები

მუხლი 14. სადისერტაციო კომისიის ფორმირებისა და საქმიანობის წესი

1. თითოეული სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის მიზნით, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს, სადისერტაციო კომისიას, მათ შორის კომისიის თავმჯდომარეს და მდივანს.
2. სადისერტაციო კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 5 წევრისგან. კომისია მინიმუმ ორი წევრი უნდა იყოს საქართველოდან ან/და უცხოეთიდან, რომელსაც უნივერსიტეტში არ უკავია აკადემიური თანამდებობა.

3. სადისერტაციო კომისიის წევრს უნდა ჰქონდეს დოქტორის კადემიური ხარისხი, დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო დარგში, სპეციალობაში, მიმართულებაში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები.
4. სადისერტაციო კომისია თავის საქმიანობას წარმართავს წინამდებარე სტანდარტის, აგრეთვე შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულების შესაბამისად.
5. სადისერტაციო კომისია უზრუნველყოფს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის პროცესის წარმართვას და სადისერტაციო ნაშრომის შეფასებას მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე სტანდარტით გათვალისწინებული წესით.
6. სადისერტაციო კომისიის მდივანი უზრუნველყოფს კომისიის ორგანიზაციულ საქმიანობას. სადისერტაციო კომისიის მდივანი აწარმოებს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის ოქმს, ეხმარება კომისიის თავმჯდომარეს ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში, ხელმძღვანელობს კომისიის საქმისწარმოებას, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს აწვდის სადისერტაციო კომისიის მიერ წარმოებულ დოკუმენტაციას.

მუხლი 15. სადისერტაციო ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შეფასება

1. სადისერტაციო ნაშრომის დაცვამდე სადისერტაციო კომისიის წევრები ინდივიდუალურად აფასებენ სადისერტაციო ნაშრომის შინაარსობრივ მხარეს და შეფასების შედეგებს ნაშრომის გადაცემიდან 20 კალენდარული დღის ვადაში წარუდგენენ სადისერტაციო კომისიის მდივანს.
2. სადისერტაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით.
3. სადისერტაციო ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შეფასების მიზნით სადისერტაციო კომისიის მდივანს გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული (მიღებული ქულების ჯამი გაყოფილი კომისიის წევრთა რაოდენობაზე).

მუხლი 16. სადისერტაციო ნაშრომის დაცვა

1. სადისერტაციო ნაშრომის დაცვა წარმოებს სადისერტაციო კომისიის სხდომაზე საჯაროდ. ინფორმაცია სადისერტაციო ნაშრომის დაცვის შესახებ ქვეყნდება უნივერსიტეტის (შესაბამისი ფაკულტეტის) ვებგვერდზე დისერტაციის დაცვამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე.
2. ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე დისერტაციის დაცვის ენა არის ქართული, ხოლო ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე - ინგლისური.
3. დაცვის პროცესი ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ ნაშრომის პრეზენტაციას, სამეცნიერო დისკუსიას და სადისერტაციო კომისიის საბოლოო გადაწყვეტილებას (შეფასებას).
4. სადისერტაციო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი.
5. სადისერტაციო კომისიის სხდომის მიმდინარეობა აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი (დანართი № 7).

მუხლი 17. სადისერტაციო კომისიის დახურული სხდომა

1. სადისერტაციო კომისია საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კონფიდენციალურად, დახურულ სხდომაზე.
2. დახურულ სხდომაზე სადისერტაციო კომისიის წევრები, თავდაპირველად, ინდივიდუალურად აფასებენ სადისერტაციო ნაშრომის საჯარო პრეზენტაციას და სამეცნიერო კამათში დოქტორანტის

მონაწილეობას.

3. სადისერტაციო ნაშრომის საჯარო პრეზენტაციის და სამეცნიერო კამათში დოქტორანტის მონაწილეობის შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით.
4. სადისერტაციო ნაშრომის საჯარო პრეზენტაციისა და სამეცნიერო კამათში დოქტორანტის მონაწილეობის შეფასების მიზნით სადისერტაციო კომისიის მდივანს გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული (მიღებული ქულების ჯამი გაყოფილი კომისიის წევრთა რაოდენობაზე).
5. სადისერტაციო ნაშრომის საჯარო პრეზენტაციისა და სამეცნიერო კამათში დოქტორანტის მონაწილეობის შეფასების შემდეგ სადისერტაციო კომისია აფასებს დისერტაციას 100 ქულიანი სისტემით მთლიანობაში, ერთიანად - დასკვნითი შეფასებით, რომელიც მოიცავს კომისიის წევრების (შემფასებლების) მიერ ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შეფასებასა და დაცვაზე მიღებულ შეფასებას.
6. სხდომის დასრულებისთანავე სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე კომისიის დასაბუთებულ საბოლოო გადაწყვეტილებას აცხადებს საჯაროდ.

მუხლი 18. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება (აპელაცია)

1. თუ დოქტორანტი არ ეთანხმება სადისერტაციო კომისიის დასკვნით შეფასებას ან მიიჩნევს, რომ დარღვეულია სადისერტაციო ნაშრომის დაცვის რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურული ნორმები, მას უფლება აქვს, შეფასების გამოცხადებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში, წერილობით მიმართოს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს და გაასაჩივროს სადისერტაციო კომისიის დასკვნით შეფასება.
2. დოქტორანტის საჩივარი უნდა იყოს დასაბუთებული. მასში მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული გასაჩივრების საგანი და გამსაჩივრებლის არგუმენტები. ამასთან, გასაჩივრების საგანი შეიძლება იყოს:
   ა. სადისერტაციო კომისიის დასკვნითი შეფასება, რომელიც მოიცავს სადისერტაციო კომისიის წევრების მიერ ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შეფასებასა და დაცვაზე მიღებულ შეფასებას;
   ბ. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურული ნორმების დარღვევა.
3. საჭიროების შემთხვევაში, დოქტორანტის დასაბუთებული საჩივრის საფუძველზე, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით განსაზღვრავს სააპელაციო კომისიის შემადგენლობას.
4. სააპელაციო კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 5 წევრისგან, მათ შორის არანაკლებ ერთი წევრი უნდა იყოს საქართველოდან ან/და უცხოეთიდან, რომელსაც უნივერსიტეტში არ უკავია აკადემიური თანამდებობა.
5. სააპელაციო კომისიის წევრს უნდა ჰქონდეს დოქტორის კადემიური ხარისხი, დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო დარგში, სპეციალობაში, მიმართულებაში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები.
6. სააპელაციო კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარესა და მდივანს.
7. სააპელაციო კომისიის წევრები ინდივიდუალურად აფასებენ სადისერტაციო ნაშრომის შინაარსობრივ მხარეს დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად და შეფასების შედეგებს ნაშრომის გადაცემიდან 15 კალენდარული დღის ვადაში წარუდგენენ სააპელაციო კომისიის მდივანს.
8. სადისერტაციო ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შეფასების მიზნით სააპელაციო კომისიის მდივანს გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული (მიღებული ქულების ჯამი გაყოფილი კომისიის წევრთა რაოდენობაზე).
9. იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო კომისიის წევრების მიერ სადისერტაციო ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შეფასება მინიმუმ 5 ქულით აღემატება სადისერტაციო კომისიის წევრების მიერ ნაშრომის

შინაარსობრივი მხარის შეფასებას, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით ინიშნება სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღი.

10. სააპელაციო კომისიის წევრები თავდაპირველად ინდივიდუალურად ახდენენ სადისერტაციო ნაშრომის დაცვის პროცესის (საჯარო პრეზენტაცია და სამეცნიერო კამათში მონაწილეობა) შეფასებას დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად.
11. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის პროცესის შეფასების მიზნით სააპელაციო კომისიის მდივანს გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული (მიღებული ქულების ჯამი გაყოფილი კომისიის წევრთა რაოდენობაზე).
12. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის პროცესის შეფასების შემდეგ სააპელაციო კომისია აფასებს დისერტაციას 100 ქულიანი სისტემით მთლიანობაში, ერთიანად - დასკვნითი შეფასებით, რომელიც მოიცავს ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შეფასებასა და დაცვაზე მიღებულ შეფასებას.
13. იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო კომისიის წევრების მიერ სადისერტაციო ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შეფასება მინიმუმ 5 ქულით არ აღემატება სადისერტაციო კომისიის შეფასებას, სადისერტაციო ნაშრომის განმეორებითი დაცვა (ნაშრომის პრეზენტაცია და სამეცნიერო დისკუსია) არ ინიშნება და დისერტაციის შეფასება სადისერტაციო კომისიის დასკვნითი შეფასებით განისაზღვრება.
14. იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტის საჩივარი სადისერტაციო ნაშრომის დაცვის რეგლამენტის პროცედურული ნორმების დარღვევებს შეეხება, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო მოისმენს როგორც დოქტორანტის, ასევე სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარის, მდივანის, წევრების არგუმენტებს და საკმარისი საფუძვლების არსებობისას იღებს გადაწყვეტილებას სადისერტაციო ნაშრომის დასკვნითი შეფასების ბათილად ცნობისა და ახალი სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ.

თავი V. აკადემიური ხარისხის მინიჭება

მუხლი 19. ხარისხის მინიჭება

1. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის დოკუმენტაცია უნდა გადაეცეს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს, დისერტაციის დაცვიდან 20 სამუშაო დღის ვადაში. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანი ვალდებულია სადისერტაციო ნაშრომის დაცვის დოკუმენტაცია გადასცეს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს ყველა წევრს, დოქტორანტისთვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე.
2. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო დოქტორანტს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად ანიჭებს დოქტორის აკადემიურ ხარისხს.
3. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო სადისერტაციო ნაშრომის დაცვის დოკუმენტაციას განიხილავს დისერტაციის დასკვნითი შეფასებიდან 30 სამუშაო დღის განმავლობაში.
4. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო უფლებამოსილია დოქტორანტს მიანიჭოს დოქტორის აკადემიური ხარისხი, თუ საბჭოს ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი და აკადემიური ხარისხის მინიჭებას ხმა მისცა დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტმა. საბჭოს სხდომას უნდა ესწრებოდეს სადისერტაციო კომისიის/სააპელაციო კომისიის მდივანი.
5. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე დისერტაციის შეფასებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ სადისერტაციო საბჭოს წევრებს ინფორმაციას აწვდის სადისერტაციო კომისიის/სააპელაციო კომისიის მდივანი. დოქტორანტისათვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით.
6. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმი და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის დოკუმენტაცია, ინახება ფაკულტეტზე დოქტორის

აკადემიური ხარისხის მინიჭებიდან 6 წლის განმავლობაში, ხოლო შემდეგ უნივერსიტეტის არქივს გადაეცემა.

მუხლი 20. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი

1. დოქტორის აკადემიურ ხარისხს ადასტურებს უნივერსიტეტის რექტორისა და ფაკულტეტის დეკანის მიერ ხელმოწერილი და უნივერსიტეტის ბეჭდით დამოწმებული დიპლომი, სტანდარტული დანართით.
2. დიპლომის გაცემამდე დოქტორანტზე შეიძლება გაიცეს ცნობა აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მუხლი 21. სადისერტაციო ნაშრომის გამოქვეყნების ვალდებულება

ფაკულტეტი ვალდებულია, დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შემდეგ, ერთი თვის ვადაში დისერტაციის თითო ბეჭდური ეგზემპლარი და მისი ელექტრონული ვერსია გადასცეს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკას, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას, ასევე ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკას.

თავი IX. დასკვნითი დებულებები

მუხლი 22. დასკვნითი და გარდამავალი დებულებები

1. დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი ამოქმედდეს 2021 წლის 1 მარტიდან.
2. დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის მე-9 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები გავრცელდს 2021-2022 სასწავლო წლიდან ჩარიცხულ დოქტორანტებზე, ასევე შესაბამის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ დოქტორანტებზე, რომლებსაც 2021 წლის 1 სექტემბრამდე დასრულებული არა აქვთ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი.

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

დოქტორანტობის კანდიდატის განცხადება

პირადი მონაცემები აპლიკანტის შესახებ
აპლიკანტი: ---------- ---------- ---------- სახელი გვარი პირადი ნომერი **ფაქტობრივი მისამართი:** ---------- **ელ-ფოსტა:** ---------- **ტელ. ნომერი:** ---------- ---------- (სახლი) (მობილური)
მიუთითეთ სასურველი ფაკულტეტი და სადოქტორო პროგრამა
მიუთითეთ სასურველი ფაკულტეტი ---------- **მიუთითეთ სასურველი სადოქტორო პროგრამა** ----------

საჭირო დოკუმენტები:
• პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან პასპორტის ორიგინალი და მისი ასლი. უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში - ქართულად თარგმნილი და ნოტარიულად დამოწმებული პასპორტის ასლი; • მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლი ან ცნობა მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე, თუ დიპლომი ჯერ არ არის გაცემული; • ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული შესაბამისი ვალიდური სერტიფიკატის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან ბოლო 2 წლის განმავლობაში ინგლისურენოვანი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის (საბაკალავრო, სამაგისტრო და სხვა) დასრულების დამადასტურებელი დიპლომის ასლი; • ავტობიოგრაფია (CV), რომელიც ასახავს მონაცემებს აპლიკანტის განათლებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ; • სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (მხოლოდ ვაჟებისთვის); • ორი ფოტოსურათი 3X4 და მისი ელექტრონული ვერსია CD-ზე; • შესაბამის სფეროში სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი ცნობა (სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებულ შემთხვევაში); • სადოქტორო კვლევითი განაცხადი და მოტივაცია. **შენიშვნა:** • უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი დიპლომი, მათ შორის ბოლო 2 წლის განმავლობაში საქართველოს ფარგლებს გარეთ ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი, აღიარებული უნდა იყოს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. • არანაკლებ ხუთწლიანი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად გაცემული დიპლომი გათანაბრებული უნდა იყოს მაგისტრის ხარისხთან სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული ცნობით.
დამატებითი ინფორმაცია:
აპლიკანტი ინგლისური ენის შიდასაუნივერსიტეტო ტესტირებისაგან თავისუფლდება იმ შემთხვევაში, თუ წარმოადგენს ინგლისური ენის სერტიფიკატს, ქვემოთ მოცემული პროგრამული მოთხოვნების შესაბამისად ან ბოლო 2 წლის განმავლობაში ინგლისურენოვანი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის (საბაკალავრო, სამაგისტრო და სხვა) დასრულების დამადასტურებელ დიპლომს. **გაითვალისწინეთ:** ბოლო 2 წლის განმავლობაში საქართველოს ფარგლებს გარეთ ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი აღიარებული უნდა იყოს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. დიპლომთან ერთად წარმოადგენილი უნდა იყოს აღიარების დოკუმენტიც. სხვა

შემთხვევაში, აპლიკანტი ვალდებულია გამოცხადდეს ინგლისური ენის შიდასაუნივერსიტეტო ტესტირებაზე.

ინგლისურენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე ინგლისური ენის შიდასაუნივერსიტეტო ტესტირებისაგან თავისუფლდებიან კანდიდატები, რომლებიც ინგლისური ენის სულ მცირე C1 დონის კომპეტენციას დაადასტურებენ ინგლისური ენის ცოდნის არანაკლებ C1 დონის ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატით (Cambridge ESOL Exams: Cambridge English Scale – 180; IELTS – 6.5; CAE–GradeC; FCE – Grade A; BEC Vantage – Grade A; ILEC –Pass with C1; BULATS - 74; TOEIC – 865; AptisTest; TOEFL: 95; Pearson tests: PTE General level - 4; PTE Academic) ან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული შესაბამისი ვალიდური სერტიფიკატით (CERTUS), რომელიც ადასტურებს კანდიდატის ინგლისური ენის კომპეტენციას მინიმუმ C1 დონეზე.

ქართულენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე ინგლისური ენის შიდასაუნივერსიტეტო ტესტირებისაგან თავისუფლდებიან კანდიდატები, რომლებიც ინგლისური ენის სულ მცირე B2 დონის კომპეტენციას დაადასტურებენ ინგლისური ენის ცოდნის არანაკლებ B2 დონის ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატით (Cambridge ESOL Exams: IELTS – Bands at least 5.5; FCE – at least Grade C; BEC Vantage – at least Grade C; ILEC – Pass with B2; BULATS - 65-69; TOEIC – 715-795; Aptis Test TOEFL: at least 46-49) ან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული შესაბამისი ვალიდური სერტიფიკატით (CERTUS), რომელიც ადასტურებს კანდიდატის ინგლისური ენის კომპეტენციას მინიმუმ B2 დონეზე.

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში თქვენს მიერ წარმოდგენილი განცხადება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, შესაძლოა შეიცავდეს პერსონალურ მონაცემებს, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებსაც. გაცნობებთ, რომ თქვენი პერსონალური მონაცემები უნივერსიტეტის მხრიდან დამუშავდება თქვენთან სახელშეკრულებო ურთიერთობის დამყარების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნებისათვის, რა დროსაც შესაძლოა შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის პირობებში მოხდეს მათი ნაწილის გასაჯაროება ან მესამე პირებისთვის გადაცემა.

იმ შემთხვევაში, თუ ეთანხმებით ზემოთ აღნიშნულს, გთხოვთ, შემოხაზოთ ,,თანახმა ვარ“ და ხელმოწერით დაადასტუროთ

თანახმა ვარ ხელმოწერა .....

სააპლიკაციო ფორმის შევსებით ვადასტურებ მოცემული ინფორმაციის სისწორეს.

გთხოვთ, განიხილოთ ჩემი კანდიდატურა განცხადებაში მითითებულ სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვასთან დაკავშირებით.

სახელი და გვარი (სრულად)

ხელმოწერა

თარიღი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

---------- ფაკულტეტის დეკანს

ბატონ/ქალბატონ ----------
(სახელი, გვარი)

მონაცემები დოქტორანტის შესახებ

დოქტორანტი: ---------- ---------- ----------
-
სახელი გვარი პირადი ნომერი

ფაქტობრივი მისამართი: ----------

ელ-ფოსტა: ---------- ტელ. ნომერი: ---------- ----------
(სახლი) (მობილური)

მიუთითეთ ფაკულტეტი ----------

მიუთითეთ სადოქტორო პროგრამა ----------

განცხადება

გთხოვთ მიიღოთ ჩემს მიერ შესრულებული სადისერტაციო ნაშრომის „----------
----------“ელექტრონული ვერსია მსგავსები აღმომჩენ ელექტრონულ პროგრამაზე გადამოწმების მიზნით.

გაცნობებთ, რომ წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს ჩემი დამოუკიდებელი კვლევის შედეგს, არ შეიცავს აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ელემენტებს (პლაგიატს, გაყალბებულ მონაცემებს), ორიგინალურია, სხვა ავტორთა მოსაზრებები მასში მითითებულია დადგენილი წესით, ხოლო კვლევის მეთოდების გამოყენებისას დაცულია აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმები

სახელი და გვარი (სრულად)

ხელმოწერა

თარიღი

დანართი №3

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

---------- ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს
თავმჯდომარეს
ბატონ/ქალბატონ ----------
(სახელი, გვარი)

მონაცემები დოქტორანტის შესახებ

დოქტორანტი: ---------- ---------- ----------
-
სახელი გვარი პირადი ნომერი

ფაქტობრივი მისამართი: ----------

ელ-ფოსტა: ---------- **ტელ. ნომერი:** ---------- ----------
(სახლი) (მობილური)

მიუთითეთ ფაკულტეტი ----------

მიუთითეთ სადოქტორო პროგრამა ----------

განცხადება

გთხოვთ მიიღოთ ჩემს მიერ შესრულებული სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: „----------

----------**“ განსახილველად.**

დანართები:

- დოქტორანტის მიერ შესრულებული სამუშაოს შემაჯამებელი ანგარიში;
- წინამდებარე დებულებით განსაზღვრული მოთხოვნებით შესრულებული დისერტაციის კვლევის შედეგები - დისერტაციის ძირითადი დებულებების ამსახველი მაცნე - ქართულ და ინგლისურ ენაზე;
- დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის (თანახელმძღვანელების) წერილობითი დასკვნა;
- ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივნის მიერ გაცემული ცნობა დოქტორანტის მიერ წინამდებარე დებულებით განსაზღვრული სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნებისათვის განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების თაობაზე;
- ფაკულტეტის მიერ გაცემული ცნობა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შესრულების, დაგროვილი კრედიტებისა და სემესტრების სრულად გავლის თაობაზე;
- მისი ავტორობით სადისერტაციო თემაზე შესრულებული სამეცნიერო კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველი და ამ დებულების შესაბამისად გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ამონაბეჭდი და/ან რედაქტორის (რედკოლეგიის) მიერ გაცემული ცნობა გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო ნაშრომის შესახებ და ნაშრომის ბეჭდური ვერსია

სახელი და გვარი (სრულად)

ხელმოწერა

თარიღი

შემაჯამებელი ანგარიში

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ---------- ფაკულტეტის

---------- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის

დოქტორანტის ---------- შესრულებული სამუშაოს შესახებ

ზოგადი ინფორმაცია

დოქტორანტურაში ჩარიცხვის თარიღი და ბრძანება	
სადისერტაციო ნაშრომის სათაური (თემის ცვლილების შესახებ ინფორმაციის მითითებით; ასეთის არსებობის შემთხვევაში)	
დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი (სახელი, გვარი, აკადემიური, სამეცნიერო თანამდებობა)	
სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი (სახელი, გვარი, აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობა; ხელმძღვანელის ცვლილების შესახებ ინფორმაციის მითითებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში)	
ხელმძღვანელ(ებ)ი (სახელი, გვარი, აკადემიური, სამეცნიერო თანამდებობა) (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	
სამეცნიერო კონსულტანტი (სახელი, გვარი, აკადემიური, - სამეცნიერო თანამდებობა) (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	

სასწავლო კომპონენტი

N	სასწავლო კომპონენტის დასახელება	სასწავლო წელი/სემესტრი	კრედიტების რაოდენობა	შეფასება
1				
2				
3				
4				
5				

სამეცნიერო კომპონენტი

1. ინფორმაცია სამეცნიერო კომპონენტის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ა)

N	სამეცნიერო კომპონენტის დასახელება	სასწავლო წელი/სემესტრი
1		
2		
3		

2. ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობა და დოქტორანტის უცხოეთში ვიზიტის შესაბამისობა საკვლევ თემასთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

(აღწერეთ სამეცნიერო კომპონენტის ფარგლებში ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობა. კვლევის მიზნებისათვის განხორციელებული სამეცნიერო კვლევითი ვიზიტი/სტაჟირება (ასეთის არსებობის შემთხვევაში): მიუთითეთ მიმღები ინსტიტუტის/კვლევითი ცენტრის სახელწოდება და ქვეყანა, მივლინების/სტაჟირების განმავლობაში სამეცნიერო კონსულტანტის სახელი, გვარი, სამეცნიერო ხარისხი და როლი სადისერტაციო ნაშრომის მიზნების მიღწევაში. სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 400 სიტყვა).

3. ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში (ფორუმები, კონფერენციები, სემინარები, ვორკშფები და ა.შ.) მონაწილეობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

N	სამეცნიერო ფორუმის დასახელება, ჩატარების თარიღი და ადგილი	მოხსენების სათაური	ელექტრონული მისამართი
1			
2			

4. სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული გამოქვეყნებული პუბლიკაციები

N	ავტორ(ებ)ი (ყველა თანაავტორის მითითებით; დოქტორანტის გვარი გამოიყოს მუქი შრიფტით)	**პუბლიკაციის სახეობა** (მონოგრაფია, სტატია რეცენზირებად, საერთაშორისო, უცხოურ, ადგილობრივ ჟურნალში, საკონფერენციო მასალები (Proceedings) და სხვ.)	**პუბლიკაციის სათაური** (ჟურნალის/ გამომცემლობის დასახელება, ტიპი/ტომი, გვერდები, პუბლიკაციის ელექტრონული მისამართი (არსებობის შემთხვევაში))	**გამოქვეყნების წელი**
1				
2				

სახელი და გვარი (სრულად)

ხელმოწერა

თარიღი

სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ---------- ფაკულტეტის ----------

---------- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტის ----------

სადისერტაციო ნაშრომის „----------“ შესახებ

1. სამეცნიერო ხელმძღვანელმა დოქტორანტი უნდა შეაფასოს სწავლის და კვლევის მიღწეული შედეგების - სასწავლო და კვლევითი კომპონენტების, ასევე კვლევის მიზნებისათვის განხორციელებული სამეცნიერო კვლევითი ვიზიტის/სტაჟირების (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში (ფორუმები, კონფერენციები, სემინარები, ვორკშფები და ა.შ.) მონაწილეობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული გამოქვეყნებული პუბლიკაციების - საფუძველზე (სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 400 სიტყვა).

2. დადასტურებული უნდა იყოს სადისერტაციო ნაშრომის მნიშვნელობა და აქტუალობა, კვლევის სიახლე და ინოვაციურობა, კვლევის შედეგების სამეცნიერო ღირებულება და/ან კვლევის შედეგების პოტენციური პრაქტიკული გამოყენებადობა. ინფორმაცია პლაგიატის/გაყალბებული მონაცემების თაობაზე (სიტყვების რეკომენდირებული რაოდენობა- 800 სიტყვა).

სამეცნიერო ხელმძღვანელის ხელმოწერა:

თარიღი:

რეცენზია

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ---------- ფაკულტეტის
---------- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის
დოქტორანტის ---------- სადისერტაციო ნაშრომის
„----------“ შესახებ

რეცენზენტმა სადისერტაციო ნაშრომი უნდა შეაფასოს შედეგი კრიტერიუმებით:

1. სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა;
2. სადისერტაციო ნაშრომის აქტუალობა, კვლევის სიახლე და ინოვაციურობა, პრობლემის ფორმულირება;
3. კვლევის მიზანი/მიზნებიდაამოცანები;
4. კვლევის მეთოდოლოგია;
5. კვლევის შედეგების სამეცნიერო ღირებულება და/ან კვლევის შედეგების პოტენციური პრაქტიკული გამოყენებადობა;
6. ინფორმაცია პლაგიატის/გაყალბებული მონაცემების თაობაზე.

რეცენზიის სტრუქტურა შეიძლება მოიცავდეს შემდეგ პუნქტებს:

1.ნაშრომის ფორმალური მხარის შეფასება

1.1.ნაშრომის ტექნიკური მონაცემები
1.2.ნაშრომის კომპოზიცია
1.3.ნაშრომის ენობრივი და სტილისტური ფორმულირება
1.4.დიაგრამები, ტაბულები, მატრიცები
1.5.ციტირებისფორმატი

2.ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შეფასება

2.1.პრობლემის დასმა
2.2.ლიტერატურის შეფასება
2.3.ნაშრომის ცალკეული შემადგენელი ნაწილების შეფასება
2.4.კვლევის მეთოდოლოგია, კვლევითი ნაწილის შედეგები
2.5.ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა

3.საკითხები,რომლებიცდამატებით განმარტებას მოითხოვენ
4.შემაჯამებელი შეფასება

რეცენზენტი გასცემს რეკომენდაციას სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასებაზე დაშვების (დადებითი შეფასება) ან რეკომენდაციების გათვალისწინებისა და ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით სადისერტაციო ნაშრომის დოქტორანტისათვის დაბრუნების შესახებ (უარყოფითი შეფასება).

დანართი № 7

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ---------- ფაკულტეტის

„----------“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტის ----------
(სახელი, გვარი)

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის ოქმი № ------

თარიღი, თბილისი

1. სხდომაზე დამსწრე საზოგადოება (სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების, შემფასებლებისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების (გვარი, სახელი; დაწესებულება, აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობა) მითითება).
2. დღის წესრიგის ფორმულირება (---------- ფაკულტეტის „----------“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტის --------- (სახელი, გვარი) სადისერტაციო ნაშრომის (დასახელება) დაცვა);
3. კენჭისყრის ჩატარება სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ (მიუთითეთ მხარდამჭერ წევრთა რაოდენობა).
4. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის გადაწყვეტილება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ (მიუთითეთ მხარდამჭერ წევრთა რაოდენობა).;
5. ინფორმაცია დოქტორანტის შესახებ (რეგლამენტი - არაუმეტეს 10 წუთი, წარადგენს კომისიის მდივანი).
6. დოქტორანტის მიერ სადისერტაციო ნაშრომის წარდგენა (რეგლამენტი - არაუმეტეს 30 წუთი; დოქტორანტის სიტყვა ერთვის ოქმს).
7. პირველი რეცენზენტის დასკვნა (რეცენზია) (რეგლამენტი - არაუმეტეს 15 წუთი; რეცენზია ერთვის ოქმს);
8. დოქტორანტის პასუხი პირველი რეცენზენტის დასკვნაზე (რეცენზიაზე) (რეგლამენტი - არაუმეტეს 15 წუთი; დოქტორანტის პასუხი ერთვის ოქმს; დისკუსია აღიწეროს ოქმში);
9. მეორე რეცენზენტის დასკვნა (რეცენზია) (რეგლამენტი - არაუმეტეს 15 წუთი; რეცენზია ერთვის ოქმს);
10. დოქტორანტის პასუხი მეორე რეცენზენტის დასკვნაზე (რეცენზიაზე) (რეგლამენტი - არაუმეტეს 15 წუთი; დოქტორანტის პასუხი ერთვის ოქმს; დისკუსია აღიწეროს ოქმში);
11. მესამე რეცენზენტის დასკვნა (რეცენზია) (რეგლამენტი - არაუმეტეს 15 წუთი; რეცენზია ერთვის ოქმს);
12. დოქტორანტის პასუხი მესამე შემფასებლის რეცენზენტის დასკვნაზე (რეცენზიაზე) (რეგლამენტი - არაუმეტეს 15 წუთი; დოქტორანტის პასუხი ერთვის ოქმს; დისკუსია აღიწეროს ოქმში);
13. სამეცნიერო დისკუსია (თითოეული გამომსვლელის რეგლამენტი - არაუმეტეს 5 წუთი; დოქტორანტის პასუხი - არაუმეტეს 5 წუთი; სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების, დამსწრე საზოგადოების წარმომადგენლების და დოქტორანტის კითხვა-პასუხები აღიწეროს ოქმში).
14. სამეცნიერო ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების სიტყვა (ოქმს ერთვის სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა; რეგლამენტი - არაუმეტეს 10 წუთი).
15. დოქტორანტის სიტყვა (რეგლამენტი - არაუმეტეს 5 წუთი).
16. სადისერტაციო ნაშრომის შეფასების პროცედურა (სადისერტაციო ნაშრომის შეფასება სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მიერ დახურულ სხდომაზე; დისერტაციის შეფასების საბოლოო გადაწყვეტილების გამოცხადება).

ოქმს ხელმოწერით ადასტურებს - სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარე და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მდივანი.